ოქმი:**ო02. 3723181001**

თარიღი:**30/06/2023**

ოქმი № 11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2023 წელი, 28 ივნისი

ქ.ოზურგეთი

12.00-12.30 საათი

თავმჯდომარეობდნენ: ბექა თოიძე, - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: თ. ტუღუში, თ. გოგუაძე, შ. თავდიშვილი, ალ. ღლონტი, ლ. კილაძე, ნ. ურუშაძე, დ. ჭაკნელიძე, ვლ. ხავთასი, გ. შილაკაძე, გ. სირაძე, ნ. ჭანიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნარუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალის მოწყობის შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნარუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალის მოწყობის შესახებ“, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის დღის წესრიგში არსებული განკარგულების პროექტი წარდგენილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი